სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ნოდარ ელიზბარაშვილის სახელობის სტიპენდიის მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) პროფესორ ნოდარ ელიზბარაშვილის სახელობის სტიპენდია (შემდგომში - „სტიპენდია“) ენიჭება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის ან სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დოტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებიდან შერჩეულ ერთ სტუდენტს კალენდარული წლის მანძილზე გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომისთვის.

2. სტიპენდიის დაწესების მიზანია უნივერსიტეტის გეოგრაფიის და საზოგადოებრივი გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტთა სამეცნიერო საქმიანობის წახალისება.

მუხლი 2. სტიპენდიის მინიჭების პირობები

1. სტიპენდია გაიცემა წინა კალენდარული წლის მანძილზე გამოქვეყნებული ან დასაბეჭდად მიღებული საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომისათვის.

2. სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნებული ან დასაბეჭდად მიღებული უნდა იყოს ერთ-ერთში:

ა) ჟურნალში რომელიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science, Scopus, SCImago Journal & Country Rank, ResearchGate-ის მიერ;

ბ) საერთაშორისო ჟურნალში, რომლებსაც აქვთ ISSN კოდი და ინდექსირებულია Google Scholar-ში;

გ) რეცენზირებული სამეცნიერო სტატიები, გამოქვეყნებული სამეცნიერო ჟურნალებში, რომელთაც ჰყავს საერთაშორისო სარედაქციო საბჭო და გააჩნიათ ISSN კოდი.

დ) სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია ტომსონ როიტერის Web of Science-ის ან Scopus-ის მიერ.

ე) სტატიები/თავები წიგნში, საკონფერენციო მასალებში ან კრებულში, რომლებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში.

3. სტიპენდიის გაცემისას სამეცნიერო ნაშრომებს უპირატესობა მიენიჭება მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში წარმოდგენლ რანჟირებულ სიის მიხედვით.

4. სტიპენდია არ გაიცემა:

ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და მეორე კურსის სტუდენტზე;

ბ) დამატებითი სემესტრის სტუდენტზე;

გ) დასაფინანსებელ წელს მობილობით გადმოსულ სტუდენტზე;

დ) წინა კალენდარულ სემესტრში სტატუსშეჩერებულ სტუდენტზე;

ე) დასაფინანსებელ წელს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში.

5. ერთზე მეტი სტუდენტის თანაავტორის შემთხვევაში სტიპენდია გაიყოფა ისეთ თანაავტორებს შორის, რომლებიც აკმაყოფილებენ წინამდებარე დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის და მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.

მუხლი 3. სტიპენდიატის შერჩევის წესი

1. სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევას ახორციელებს სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია.
2. კომისია იქმნება ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, რექტორის ბრძანებით.
3. კომისია საქმიანობს და გადაწყვეტილებას იღებს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესის შესაბამისად.
4. სტიპენდიის მისაღებად შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა ხორციელდება ყოველი წლის 10 დან 25 იანვრამდე ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატში.
4. ორი ან მეტი საუკეთესო სამეცნიერო ნაშრომის არსებობის შემთხვევაში, კომისიის გადაწყვეტილებით, სტიპენდია გადანაწილდება შერჩეულ კანდიდატთა შორის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

მუხლი 4. სტიპენდიის დანიშვნა და გაცემა

1. სტიპენდია გაიცემა წელიწადში ერთხელ, ერთჯერადად 1000 (ათასი) ლარის ოდენობით (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით).
2. სტიპენდია ინიშნება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით სტიპენდიის შესარჩევი კომისიის დასკვნის საფუძველზე.
3. სტიპენდია გაიცემა ყოველი წლის 8 თებერვალს, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ ნოდარ ელიზბარაშვილის ხელფასიდან.

მუხლი 5. სტიპენდიის მოპოვების მსურველმა სტუდენტმა კომისიის სახელზე უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განცხადება კომისიის სახელზე;
2. ავტობიოგრაფია (CV);
3. პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;
4. სამეცნიერო ნაშრომი;
5. ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
6. საბანკო ანგარიშის ნომერი.